



საქართველო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

23 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 13

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილების თანახმად:

1. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველი საკითხების მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, ლალიძის ქ. N12)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კორნელი სალია

